

# „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით

ა ნ ო ნ ს ი



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე:

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში / Secondary Vocational Qualification in Logistics

განხორციელების ფორმა:

მოდულური, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება.

მიზანი

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება დანართი №1-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლებაზე.

საბაჟო განათლება დანართი №2-ით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინტეგრირებულ სწავლებაზე.

### **დასაქმების შესაძლებლობები:**

საშუალო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის მიმართულებით შეუძლია დასაქმდეს ტვირთების გადამზიდვ ექსპედიტორულ და სატრანსპორტო - ლოგისტიკურ ორგანიზაციებში; საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში; სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ასოციაციებში; სატრანსპორტო და საექსპედიციო ორგანიზაციებში; სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკურ კომპლექსებში; სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ორგანიზაციებში; მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუტორო ორგანიზაციებში; გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში; საბაჟო ტერმინალურ კომპლექსებში; სასაწყობო მეურნეობებში, საბაჟო საწყობებში.

- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3323.

### **სტრუქტურა და მოდულები**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:**

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 8 კრედიტის ოდენობით; 5 ინტეგრირებულ მოდულს 60 კრედიტის ოდენობით და 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის რაოდენობით.

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 122 კრედიტისა, სწავლების ხანგრძლივობაა 120 კვირა.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1, გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 122 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კვირა;

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 152 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 142 კვირა.

### **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

### **კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პრეროგატივაა. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

### **პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი**

პროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბაზაზე.

